

სამოყვარულო ფოტო – კონკურსი „ჩემი არდადეგები“



პროექტ „საქართველოს მოხალისის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კოორდინატორის, თამარ მაღრაძის, ინიციატივით სამოყვარულო ფოტო – კონკურსი „ჩემი არდადეგები“ ჩატარდა. აღნიშნული პროექტის მხარდაჭერება: ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი; გამგებობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახური. მონაწილეობის მსურველებმა მოგვანოდეთ თქვენს მიერ გადაღებული ერთი ფოტო – სურათი. ფოტოები მიიღება 13 ივლისიდან 25 აგვისტომდე.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი დასრულდება 25 აგვისტოს. მეორე ეტაპზე გადავა ის 5 მონაწილე, რომელსაც საგანგებოდ შედგენილი ჟიური შეარჩევს. გამარჯვებული გამოვლინდება 10 სექტემბერს. ფინალისტებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ. ასევე მოეწყობა საუკეთესო ფოტოების გამოფენა.

თუ თვლით, რომ თქვენს მიერ გადაღებული ფოტო კონკურსის „ჩემი არდადეგების“ პირობებს შეესაბამება, გააგზავნეთ იგი e-mail – ზე mokhalise@mail.ru ან დარეკეთ ნომერზე 597 72 22 89. გისურვებთ წარმატებებს!

თამარ მაღრაძე

ქუთაისის თეიმურაზ კობახიძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ხარაგაულს ესტუმრა



6 ივლისს ხარაგაულს ქ. ქუთაისის თეიმურაზ კობახიძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ეწვია, რომელმაც ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლთან არსებული სამუსიკო სტუდია „ჰარმონიის“ ორგანიზებით კინოთეატრში ღონისძიება გამართა. აღსანიშნავია, რომ სტუდია „ჰარმონია“ და ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი 2008 წლიდან თანამშრომლობენ და ეს მათი ერთობლივი უკვე მეოთხე კონცერტია.

მონაწილეებმა სალამოზე საფორტეპიანო (პედაგოგი - ციური ბლუაშვილი) და ვოკალური (პედაგოგი - ნანა ლურსმანაშვილი) ნაწარმოებები შეასრულეს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი საფორტეპიანო ნაწარმოებები:

- 1. სილვანსკის საფორტეპიანო კონცერტი (სოლ მაჟორი) – I ნაწილი- თეონა ბოგვერაძის მიერ;
- 2. ბერკოვიჩის საფორტეპიანო კონცერტი N2 (დო მაჟორი) – I ნაწილი გიგა ხიჯაკაძემ, II - III - ნაწილი ქეთი დავაძემ შეასრულეს;
- 3. ბერკოვიჩის ციტატა (სოლ მაჟორი) - ნათია ბურჯანაძემ;
- 4. ხაჩატურიანის ვალსი, ლერმონტოვის დრამისადმი დანერგილი მუსიკიდან „მასკარადი“ - ნინო შარივაძემ;
- 5. ლონდაროვის „ერისიონი“ - თამარ მეიფარიანმა, რომელსაც მყურებელთა თხოვნით 2 - ჯერ გაამეორებინეს ნაწარმოები.

ციური ბლუაშვილი ინტერესიანი, შრომისმოყვარე პედაგოგია, რომელიც წლების განმავლობაში მოღვაწეობს მუსიკალურ სფეროში. მისი შრომა ყოველთვის სათანადოდ აისახება მოსწავლეებზე, მათ წარმატებებზე.

ციური ბლუაშვილი – ხარაგაულის მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლთან არსებული სამუსიკო სტუდია „ჰარმონიის“ ფორტეპიანოს პედაგოგი:

„ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი მაღალი პროფესიონალიზმის მქონე მუსი-

კოსებიტა დაკომპლექტებული. იგი თანხლებას უწევს ქუთაისის არაერთ საოპერო სპექტაკლს. როგორც პედაგოგი, უზომოდ მაღლიერი ვარ. ჩვენს პატარა შემსრულებლებს პატივი ერგოთ ასეთ დიდებულ მუსიკოსებთან ერთად დაეკრათ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ორკესტრთან ურთიერთობა ბავშვებისათვის დიდი სტიმულია. საკონცერტო პროგრამაზე მუშაობის პროცესში პატარა შემსრულებლები სრულიად გარდაიქმნენ და უფრო მეტი ენთუზიაზმით მუშაობდნენ. მათში განსაკუთრებით ღვივდებოდა ინტერესი კლასიკური მუსიკის მიმართ. როდესაც მათ უწევთ ორკესტრთან დაკვრა, დაულაღვად შრომობენ რათა ნაწარმოები უნაკლოდ შეასრულონ. ღონისძიების წარმატება ერთ სამკუთხედზე დამოკიდებული, რომელიც ბავშვის, პედაგოგისა და მშობლის მიერაა შეკრული.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ორკესტრის დირიჟორი – რევაზ ჯავახიშვილი, ბედნიერებაა ასეთ ადამიანთან ურთიერთობა, მუშაობა. ბავშვებში, რა თქმა უნდა,

მღელვარება შეინიშნებოდა, რადგან მათ ჰქონდათ პატივი, დაეკრათ არაჩვეულებრივი ორკესტრის თანხლებით. ეს ბავშვები გრძობენ პასუხისმგებლობას პედაგოგების, მშობლებისა და საზოგადოების წინაშე.

მადლობელი ვარ მშობლების, ისინი ყოველთვის გვერდით გვიდგანან. გასულ წლებში მსგავს ღონისძიებებს სწორედ მათი ფინანსური მხარდაჭერით ვახორციელებდით. წელს კი ადგილობრივი თვითმმართველობა დაგვიდგა გვერდით, 3 000 ლარით დაგვეხმარნენ. ამ თანხით შევიძინეთ ფორტეპიანო და უზრუნველყავით ღონისძიების ხარჯების დაფარვა. ყოველივე ამისათვის მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის გამგებებს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონ ინგა მალრაძესა და საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, ბატონ ვლადიმერ გელაშვილს.“

თამარ მაღრაძე

ხარაგაულელი საუბები სტამბულში ბემბაპრენ



ქალაქ სტამბულში 8-დან 18 ივლისის ჩათვლით საერთაშორისო სკაუტური ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის სკაუტურ ორგანიზაციასთან ერთად საქართველოს სკაუტური ორგანიზაციის წევრებიც იღებენ. სტამბულში ხარაგაულიდან იმერეთის სკაუტური ორგანიზაციის უფროსი ლიდერი ბერიკა თურმანიძე და ორგანიზაციის წევრები ლადო მაღრაძე და მადონა შველიძე გაემგზავრნენ. პროექტს ორგანიზატორობას აჭარის სკაუტური ორგანიზაცია უწევს. სკაუტები 10 დღის განმავლობაში კარვებში საველე პირობებში იცხოვრებენ და ქალაქ სტამბულის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. ხარაგაულელი სკაუტების სტამბულში გამგზავრება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სპოხის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი გაიმართა



7 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი გაიმართა. წარდის თამაშებში 32-მა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებული გამგებლის წარმომადგენელი კიციხის ადმინისტრაციულ ერთეულში გია ჩხიკვაძე გახდა. 8 ივლისს კი წყვილებს შორის დომინოს ჩემპიონატი მოეწყო. დომინოს ჩემპიონატში გამარჯვება პეტრე თავზარაშვილისა და გელა ტაბატაძის წყვილებს ხვდა წილად. გამარჯვებულები სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება იგეგმება



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება იგეგმება. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 1100 ლარი იყო დღგ-ს გარეშე. გამარჯვებულმა კომპანიამ კი საპროექტო სამუშაოები 899 ლარად უნდა შეასრულოს. კერძოდ, გოლათუბანში შეკეთდება 2 -კილომეტრიანი საუბნო გზა. პროექტის სავარაუდო ღირებულება 5 000 ლარია. 2,5 -კილომეტრიანი გზა შეკეთდება ასევე, ლელვანში „კობაბოურის“ უბანში, რომლის სავარაუდო ღირებულება 10 000 ლარია. დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩის მესამე ჩიხის 50-60 მეტრიანი გზის შეკეთება, სავარაუდოდ, 2000 ლარი დაჯდება. რეაბილიტაცია ჩატარდება მარელისში ბერანმინდის საუბნო 2,5 -კილომეტრიანი და სოფელ ბორის 2,5 -კილომეტრიანი საუბნო გზებსაც, თოთოეულის სავარაუდო ღირებულება 10 000 ლარია. ასევე შეკეთდება სარგვეშის, ცისკაძეების საუბნო 1,5 -კილომეტრიანი გზა, რომელსაც 10 000 ლარი დასჭირდება და სოფელ ხიდარში დაწყებითი სკოლის 0,5 -მეტრიანი გზა. მისი სავარაუდო ღირებულება 2000 ლარი იქნება. პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.